


სოლომონი გენერალი: თუ წითელი არმია დაიჭრა ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენ ვივით როგორც მოვიქცებით.



— სოპ ვამოვალთ, ვივით როგორც მოვიქცებით.

ნაბ. გ. იხვეცხა.

ქრული ბატონის თინები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(ისე, როგორც ზღაპარი)


ერთი სოფლიდან ერთ ქალაქში ერთი ჭრელი ბატი ჩავიდა. მატარებლიდან გადმოსვლისთანავე ქალაქელ ბატებს შემოეყარა და ბაზრის გზა ჰკითხა:

— რა გინდა ბაზარში? — შეეკითხნენ ისინი.

ბატმა გაკვირვებით შეხედა და თავის მხრივაც შეეკითხა.

— როგორ თუ რა მინდა, განა ქალაქელებმა არ გაიგეთ რა ხდება?

— მაინც?



— მაინც ისა, რომა ჩვენებურმა მკითხავემა სთქვა — ცხრა მთას იქით, მთა-მთას უნდა ეცესო.

— რომელ მთაზე ლაპარაკობ?

— რა ვიცი, ალბათ იალბუზი იქნება.

— არა, თუ ღმერთი გწამს, მართლა იალბუზიო?

— ნამდვილად იალბუზი.

— რათა და რა მიზეზითაო?

სოფლელი ბატი უფრო მეტად გაკვირდა.

— როგორ? ი ტიელა მიზეზი ჩვენ იქ გავიგეთ და აქვე, ყურძინში თქვენ არ შეგიტყვიათ?

— აბა, რა ვიცი, ჩვენთვის არაფერი უთქვამთ და.

— იი შეილოსა, დაუდევრობაც მაგას ეთქმის. თქვე კაიკაცებო.

ამბები ქალაქში კეთდება და ქალაქელებს როგორ გამოგებართა?

— შენ ეგა თქვი და, რა გვეშველება, რა გზას დავადგეთ?

— განა საკითხავია?

— მაინც რა გზას დავადგეთ?

— რა გზას და მომარაგება უნდა ვაწარმოოთ.

— რის მომარაგება ყმაწვილო?

— რაც მოგვხვდება-ყველაფრისა.

— კი, მაგრამ ჩვენ ხომ მარტო საკენკი გვეკურია?

— რის საკენკი, რა საკენკი? — ჩაუაროთ ამ დუქან-ბაზარსა და რაც შეგვხვდეს, მოვიმარაგოთ.

— აი, მაგალითად, ზურგიელი რომ იყოს კოლოპერატივიში, როგორ მოვიქცეთ?

— როგორ და დიდი რაოდენობით შეიძინეთ.

— რას მეუბნები, შაქარიცა?

— შაქარი უფრო მეტად.

— მაშ მარილზე რაღას იტყვი?

— ისიც.

— ნავთი და ასანთი?

— რაც შეიძლო მეტი რაოდენობითა.

— ტანისამოსი?

— მაგას რაღა ჩიხინი უნდა? — უეჭველად უნდა შეიძინოთ.

— ბიჭოს, ისე გამოდის, რომ საპონიც უნდა მოვიმარაგოთ?

— მოიმარაგოთ რომელია? პირველ რიგში სწორედ ეგ უნდა მოიმარაგოთ.

— ეთი ამას უყურეთ, მაშ მაკარონიცა?

— მაკარონიც და ვერმიშელიც.

— სამ თუ ასეა, ერთად წავიდეთ „ოჩერედში“.

— წავიდეთ...

ადგნენ ეს ბატები და როგორც მოილაპარაკეს, ისეც მოიქცნენ. აიტუზნენ მალაზიების წინ და ატეხეს ყიყინი.

ეს რომ სხვა ბატებმა დაინახეს, მათაც მიჰბაძეს და გაიმართა „ოჩერედები“.

— ოთხი კილო შაქარი მიბოძეთ, — შესვლისთანავე ტკბილად მიმართა გამყიდველს ჭრელმა ბატმა.

— ოთხი კილო რათ გინდა, სხვებს თუ ორი კილო მიაქვთ, შენ რაღა ხარ?

— მე ისა ვარ, რომ ჭრელი ბოლო მაქვს და თანაც თქვენი გამგის ნათესავს ვიცნობ.

ამ „არგუმენტმა“ დიდი გავლენა მოახდინა ნოქარზე და უსიტყვიოდ აუსრულა სურვილი.

— მომეცით საპონი.

— რამდენი?

— ერთი შეიძლება?

— შეიძლება.

— ორი შეიძლება?

— მეტიც.

— სამი შესაძლებელია?

— კი.

— იქნებ შეიძიც შეიძლებოდეს?

— შეიძლება, მაგრამ რათ გინდა, ხვალ ვერ წაიღებ?

— ამბობენ ცხრა მთას იქით მთა-მთას უნდა ეცესო და ოჯახის პატრონს მაშინ მამისთვის სადღა მეცლება?

ამ არგუმენტმაც გასჭრა.

— ახლა ის ქამარ-ხანჯალიც გადმომიღეთ. გადმოუღეს.

— ის რაღაა — თაროზე?

— ბურნუთი გახლავთ.

— გადმომიღეთ ოთხი კოლოფი. გადმოუღეს.

— იქნებ რვა კოლოფი შეიძლება?

— ათიც.

— აბა, მაშ თორმეტი კოლოფი იყოს. მიაართვეს.

— ის რაღა მანქანაა?

ჯორის ნალეზია.

— ისიც მიბოძეთ.

— რათ გინდა შენ ხომ ბატი ხარ?

— მაინც მიბოძეთ, — შეიძლება ბატები ჯორებად გადიქცნენ და გამოგვადგება.

— მიაართვეს.

უფრო გაეღვიძა მაღა ამ ჭრელ ბატსა, აიარ-ჩაიარა დუქან-ბაზარში, რაც ნახა და არ ნახა — ყველაფერი მობოჭა, ზიდა და ზიდა თავის საბატეში, რაც უნდოდა და არ უნდოდა, ჩავარდა ვალსა და ვახშშია, თანაც ქვეყანა შესძრა ყიყინით:



— ჰარიქა, მთა-მთას ეცემა და ვისაც რა შეგიძლიანთ შეიძინეთ, დააგროვეთ, ოჯახია გამოდგებაო.

სხვა ბატებმაც ეგრე ქნეს და ეგრე გაისარჯნენ.

ქველები იტყვიან მიჰყე მიხედულებასაო, — ეს რომ დაინახეს, იმ ქალაქის ნახევარი მცხოვრებლებიც ბატებთან იქცნენ, დაერივნენ ამ დუქან-ბაზარსა და სულ ჩარბუზანა ჩააბეს. ასე რომ დღესაც დადიან ყიყინით და კაცს არ აკლიან თავის გუნებაზე მალაზიაში შევიდეს და ნამდომი იყიდოს. რათა, რისთვის, რა აუცილებლობის გამო? — ამაზე ის ბატი თავის ჭრელ თავს ერთხელაც არ შეჰკითხებია.

ამბობენ:

— ეგ რა გიკვირს, ბატი მუდამ ბატურს იზამს, მაგრამ ე ზოგიერთი ქალაქელი რომ გაბატდა ისინი რაღამ გადარიაო?

ჩვენის აზრით, ეს სულ ჭრელი ბატის იონებია:

ერიდეთ ჭრელ ბატებს მოქალაქენო.

თარხნი

საქართველო
საბჭოთაო



წინდახედული ბელუჩები

— ბინა უნდა გამოვიცვალოთ შეიღებო, შეიძლება ამ სახლის კომენდანტს არ სცხვენიათ, მაგრამ ჩვენ
თუ ვინმე გვესტუმრა, თავი მოგვეჭრება.

წყლის ძარა

ეს ამბავი შარშან ზამთარში მოხდა. ერთ ჩვენს ნაცნობს ვესტუმრე რომელიც ლიტერატურულ საზოგადოებაში მწერლად ითვლება და ისე კი უკვე ათი წელიწადია არაფერი დაუბეჭდია. (უფრო სწორად რომ ვთქვათ — არ უბეჭდავენ).

რასაც არ მოველოდი სწორედ ის მოხდა: თაროდან ხელნაწერების დასტა გადმოვიღე და მე რომ ინტერესი არ გამოვიჩინე მისი ნაწარმოებისადმი — თითონ დაიწყო კითხვა.

თორმეტი ლექსი წაიკითხა, ლექსი კი არა პოემა.

მისმა ცოლმა მაგიდაზე სასმელები და შემწვარი დაალაგა. ჩემი მეგობარი კი მის ახალგაზომცხვარ რომანის კითხვას შეუდგა.

— იცი რა, — მიმართა ცოლმა ჩემს მეგობარს — ნუ შეაწუხებ კაცი, გესტუმრა, პატივი უნდა სცე, რა შუაშია ლექსებისა და რომანების კითხვა.

„რომანისტი“ გაცხარდა:

— ჩაიკმინდავდე ენსა შენსა, რამე თუ ვიცოდე რასაც ვიქმოდე! — შეუტია ცოლს.

შემდეგ მე შემიკითხა:

— მოგწონთ, ხომ?

თავი უხერხულად ვიგრძენი: მეტქვა, არ ჭარბა მეთქი — სტუმრის ჩვეულებას დავარღვევდი, მომეწონებინა და ტყუილის თქმაც ჩვეულებად არა მაქვს.

ვითომ ხერხს მივმართე:

— ჯერ მხოლოდ ნაწილს ვიცნობ, რომანი, თუ მთლიანად არ გაქვს წაკითხული, ისე არ შეიძლება შეაფასო.

კითხვა განაგრძო.

ხუთ საათს სმენის შემდეგ ხელებმა კანკალი დამიწყო, ნერვები დამეჭიმა, მზად ვიყავი რამე დამერტყა თავში მასპინძლისათვის და თავი გამენთავისუფლებინა სატანჯველისაგან, სიმწრისაგან თვალგებზე ცრემლები მომადგა.

ჩემმა მასპინძელმა განცდით მომმართა:

— დიდებული გრძნობა გქონია, რომანის ამ ადგილას ვერც შევითმენ, ავტირდები ხოლმე.

მოთმინება აღარ მეყო და შეუტყე:

— გრძნობა მართლაც დიდებული მაქვს, მოთმინება კი ძალზე სუსტი, რა დაგიშავე ასეთი, თავი დამანებე შენი რომანიანად.

„რომანისტი“ სახეზე სიწითლემ გადაჰკრა და ცოლს დაუძახა:

— ალაგე სუფრა, რა ჯანაბათ გინდა ეს სასმელ-საჭმელი, ასეთ უბურმარლო კაცს, შემწვარი კი არა შავი ქვა უნდა შესთავაზო.

ცოლმა დაუჯერა.

მე ადგილიდან არ დავძრულვარ.

— უმურაზო ხალხში ვცხოვრობ, — ბურტყუნი დაიწყო „რომანისტი“ — გადირია ქვეყანა. ვერავის ვერაფერს დააჯერებ. უგემოვნო რედაქტორები, შეუსმენარი კრიტიკოსები, გაუგებელი მკითხველები, ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ გენია უსათუოდ უნდა დაიკარგოს, და მე, რისთვის ვიბრძვი მითხარით ერთი, ვისთვის ვწერ ამ ლექსებს, რომანებს, ნუ თუ ასეთი ღვაწლის ღირსია დღევანდელი კაცობრიობა? მე ჯავრი უნდა ვიყარო ადამიანებზე! — დაამთავრა „რომანისტი“ თავისი ტრაგიკომიკური მონოლოგი, ხელნაწერებს ხელი წამოავლო, დაბლუჯა, დაჭმუჭნა, გავარვარებულ ლუმელში შეუკეთა, შემდეგ შკაფიდან კონიაკი გამოიღო და ორი ჭიქა ზედიზედ გადაჰკრა.

„რომანისტი“ ცოლმა ლუმელის კარი გამოაღო და ქმარს უსაყვედურა:

— რა გააჭირე კაცო საჭმე, ჩაი ასადულარი იყო და სიკეთის დროს ლუმელი ჩააქრო შენმა ხელნაწერებმა.

„რომანისტი“ ცოლმა ლუმელის კარი გამოაღო და ქმარს უსაყვედურა:

— რა გააჭირე კაცო საჭმე, ჩაი ასადულარი იყო და სიკეთის დროს ლუმელი ჩააქრო შენმა ხელნაწერებმა.



ალბო მარგარიტი

მომსაქმელი მონაწილსა და გამომცემსა სველას ხახხას



შალვა ლაღიანი

ძნელ საქმეს ვისარულობს ცნობილთან ერთად, ნაკლებად ცნობილთს ამავიცი უნდა ვახსენო, ამაზე რე ამირისხდებით.



სიმ. ჩიქოვანი

ვინც მაქო, თუ არ მიქია, უჩერებელი ცოცა კია, მაგრამ მართლად თუ არ იტყვი-მას კრიტიკა რას მიქვია?

ენას ვარდი მსურს სახმელად, სიმცერე გულისხმისანი, კვლავ სიხუტე, სიბუნჯე სიდავას თქმისანი, გული ციცილდაუშრობელი და შიგან სიხვი მისანი — მართლად მოგონება ამბავნი მწერლობის: სახალხის კრავი მწვერებს მღერით გულმუცურებზე, მწერალნი — ადამიანის ხელისა ინფერებზე: დამხდს, დღა-დღეობა დარაზად — ხელთ ნაწილებია ბუებიანი, ზოგი სუბხელად მინარნი, ზოგნი — უკლონადღერები.

შეუქმდნაოვად ბრუნავდა კვირბუდეში მოდერნული, გარს კალწონისა სს ერტა — მუზათა ციცილთ დავლურ — მათამ ხალხისან წუღის მჭვრეტლს ვინება და გული, წარბისაგან და პირველ სიტყვას მარაზულ წარბის-სიტყვას დაად მარსა ურილობის ინამეცხად ავიცისნავი, და იდებაც ტანს დასტარა, თუ ხანა არ დაწმობი, უფრეცელს მოხსენებთ ტრაბუნაზე ვაიცივია.

იტყვის: პირველ ურილობიდან გახსნა დღევანდელ შუღი წელი, ამ მანაღვლე ჩვენს მწერლობას გაუხვდად ერბობს წელი შუღივრები მოვამრაველი, ლექსი გიხობათ, გინდა პიროზა, ჩრტულ მწერლებს კიდევ უფრო გაუხვრადი ნიჭს ღუზა, კვლავაც ატყვის სახეებს — ბუნაზუსტ მუღერის კოლისა, პირველად დაახახებებს მისაშვლს ჩვენსა ილიას, მათ მოუღლებს კიწის ფულავანია შევლისა, გოჯლას, შალვა და ირაკლის, დემიაც არ ვგავიწებოლია.

სხვათაგ ჩამოსივლის მათ გვერდით — დრამატურთა ლუ ზეისანთა, ერთდობაზე სახალხის, ვით ხელში კრიალსანთა, რა ჩაათავებს კვლავ მისთავლის, წერათი ფრიალსანთა, მართა ვითა თანას სახრუწავს, აბრუწავს, სიხვითი მისადა-არცა სხვა წერანი დასტობა, იწუთ დაღვიწხებინება, ვინაჲრტკია, ვინაჲრ-მათი ნიჭი და ღირება, უნებ ვაგნობი, მწერე დღეკ ტრიაუნაზე — ვითა ღობა ერთსტობად ამჩქებარა, დადაინა ჩვენი შალვა, შუღლდ სიონს ჩაქვიანმა, ვის სიხვითა დღევანი ღობა, კრიტიკურ კრიტიკა მუკ, უცხებლსი, ვითა გავლად, დარბაზს შიგან დღღვადანი, მართ სკამებზე ვინცა სხიანი, უჩინდინა მისმამა თქმის, ახლოდისმტვს ავერდებთა გაღანამაცა ზოგერთანი რეზოლიციით აუქვილიან: — რჩეული შორის რად არ მოქვიითო? — ურულ სიტყვებს ითხოვან.

კამათი და ზუგულითი გაიმართა ვაჟომ დღი, რომე მუღდეს, ცნა ეტრატოც აუვალს მანერ ვერ მივივლდი, ვინაჲ ზოგითა ირატარია, მანერ მმართებს კრავად რიდი, მათა სიტყვითი ნიჭერად თქვენს სახმელად ავიწმვილი:

ალ. ზომიანი
იპოვდა ტენი არ წაქიობებს, არცა სპირა, იმს ვინ კოხაგან? — ახლა აქ, თქვენს წინ, დიდ ყრილობის წინ ლაშის შესახებ ვაუფებ კიბხასა ლექსი, თქვენზე უციო, სხვა და სხვა ართი



ირაკლი ბაბუიძე

მას თქვენ ამბობთ, რომ „ჩვენი თაობა“ სუხტად მუშაობდა? — მე ჩივივებთ როგორ მუშაობს ჩვენი თაობა.



მ. ლეონიძე

სიტყვის სათქმელად სადა მცალიან? დრო არ მაქვს წელში გახმართავი: აქეთ ლექსები, იქით — პოემი, ბალტიცაც უნდა მოვახა თვი.

მწერ გამოცემლებს, თან ვიფრეტო-რომ, სცენარცა მაქვს ზედ დახარავი, და ამავე დროს სამი თო თითი იუბილია გახმართავი...



ი. მისაშვილი

თუ კი ლიტვონდი ანე ვავზარდი, მას უპოვიახ რადად დავაზარდე? მე ჩემი მუშა ისევ მანათებს, — სხვების შესახებ არ ვიკამოვებ.



ს. იული

რას მოითხოვთ ჩემგან? სიმათ-ღე გიხობართ? ანა სიომ თქვენი თითონ ამბობთ? მეც ეს მიწილა.



ს. შანშიაშვილი

ხალხსო დე ჯამათისო, ამბობენ „არინა“ ცრუკლასიკურათო, ფო-დაღურზე რადას იტყვი?



დ. მამასხვარია

მე ბრალს ვდებ მე-XIX საუკუნეს და ჩვენს კრიტიკოსებს. მე-XIX საუკუნეს იმიტომ, რომ მან არ მოგვცა ქართული პიროზა და მე იძულებულად ვარც ხარ-ღვნი ამოვივცო, — კრიტიკოსებს კი — იმიტომ, რომ მათ მე მახვე-ღე ოხნამურელ პიროზაიკოსების ნგერდით.

ზოგი მაღალი, ზოგი დაბალი, ზოგი რიგში უნდა, რითმა კი — ველო, არ უნდა იყოს ოვლით დამაბალი. და თუ ჩვენ ვხედავთ უპირისპილს, ის უნდა მოხდეს პიროზაში, ახ ანეთი რეცეტილი წყრით, და შევიტანოთ ლექსი სიამო (კიბხულბას რეცეტილ).

ქალი გოგონამდ ილიასა და კაცის შენდევ მანერ მახხენო, რა წავიდვებით?

დღეშია უხმავალია დღეს ლომობერი მე ვარ ვინცა, მინდა ვეგვეთი სიხმენის კარებს, ესლა მისწინე და მის ციცილდე, ცხვარეც ცხვარე, თუ ვაიცხვარე. (ვევერება).

მართი ძალის რაბულია ჩვენ ვმუშავდებოლით, რომ ილ-დამამხვე თითო ადგილი დავგვეთის ქაღალდს, — მანერ რა ვეულო, ველო ვით ვაქითო — აქვენ ბეგრან ხარ და ჩვენ კი — ციტიანი.

მართი პირტიკოსი (ადგილიდან) მხოლოდ და ვაქით, ვინც ვარტიკოსთ, დანარჩენებს — თავი თვითი იქეთ.

სინდრო ძული ამხანაგებო, თუ ჩვენს სამღმინის მუშაობაში არ უნანს ხევა, მაზუს ბატყლით, მაგრამ თვითონ სიქეთი, სხვობს გავაწარი ჩვენი თეგა... მაგრამ არ არის იგი მართლად, ვინც ჩვენსა ნაქლე ბრახოს, (ვემეფებ).

რაც მოვანართი, კე ვავაგებოთ, რაც არა, აწი ვე ვაგებოთ.

დ. მამასხვარია

მანც და მანც საუკუნეში მე დილოსტურ კლასმა ვფესა, პიროზა მე მიწადა ლეხს ვეე რევი, დეე ჩვენს მწერლებს ახლოდეთ ესა: მწერს ვინაგვინათ ჩვენი კავშირი, მწერთ ჩანებს მწერლებსავე. დაჩანებს რეულთა დასი მცირად — კლასიკურობის პეტეობასავე.

რევირეციაში უნდა ვანდენის უპირისპილს, ჩივილდე მართა, ზოგის ქალადღე და ამ ნაწილით გახარდის მხოლოდ ჩვენი ტრავი.

სინდრო უხმავი (ადგილიდან) რათ, თქვენ რა სიქეთი ვიღერათა? დავაღერავდი რადუნე ჩვენი, მე ვაბაბო, იგი მარეუე კაცია და ამ საქმეში გიმიოსანე.

დავით სულიაშვილი რაც მე ლიტვონდს რევიზორი ვარ, ბევრი ვაღმედა დავიფარბა, მე შევბოძე სული სიღარი, ორი სახლი და შუდი დარბა. (მამასხვარიათი კიბხულბას მოხსენებებს).

სინდრო უხმავი (ადგილიდან) დავაჯიღვლოთ ჩვენი დიოკო და ერთ კვლევ მანერა სიფიციოთ: კე დარტიკორად ჩვენი წერი, და ვინაღლი იმე დავაჯიღვლოთ... (სულიაშვილს ურულდეს თხოვნის და აჯიღვლოდეს, ველო ამკეთიღილა. კამათი ვრტეღვლეს).



მისო შანშიანი

გვიხანავდებოდა, კრიტიკოსები არაფერს კიბხულბოთი, თქვენს წიგნებს ხომ მანერ ვთხოხულოთ, მის ცოცაჲ.




კაულენ გვიტამა

მე საბუთო მაქვს დაგარწმუნო ყრილობა, რომ „ფედერაცია“ წიგნების გამოცემის გეგმა ვაღა-პარბით შეახრულა.



ლმ. მთვარეშვილი

— ამხანაგებო... ამხანაგებო... ამხანაგებო... ადგილოდეს ლეგან, გვიხობარ ვინა არჩეული? — არჩეულია 27 კაცო... (თავისთვის: რა კირნი ჩვევარდი)



კანონიერი გუნდის წყობა

ლონდონის ევაკუაციის დროს დაცალეს ზოოპარკიც და შხამიანი გველები დააბრჩეს. გაზეთებიდან

— რას მერჩით ჯენტლმენებო, მე ხომ თქვენთვის არ წამბაძავს! თქვენ თვითონ წამბაძეთ და ომიც გამოიწვიეთ.

ჰიბნი კახეთის ორთქლმავალს

ყველაფერი ვარდაიქმნა,
მაგრამ შენ კი მხოლოდ—
ისევ ბობლაგ ძველებურად,
დარჩი კუს სიმბოლოდ.

ვაშა! ვაშა ორთქლმავალო,
ფოლადო და რკინავ,
შენი სრბოლის ემბლემაა
კუ და ლოკოკინა.

ელექტრონის ეპოქაში
კვლავ ხის გუთნით ჰზარავ,
სამ საათის სავალ მანძილს
ცხრა საათში ჰფარავ.

ვაშა! ვაშა ორთქლმავალო,
ფოლადო და რკინავ,
შენი სრბოლის ემბლემაა
კუ და ლოკოკინა.

კამეჩებმა ივრის პირზე
გადიქროლეს ლელო!
ხომ არ გინდა ორთქლმავალო
მოვხსნა, მოგაშველო?

ქშინავ, როგორც მომაკვდავი,
ჰზარავ მგზავრთა ყურებს,
იქნებ წელი გააქანო—
გამოგაბავ ურემს.

ვაშა! ვაშა ორთქლმავალო,
ფოლადო და რკინავ,
შენი სრბოლის ემბლემაა
კუ და ლოკოკინა.

ვაშა! ვაშა ჩვენს რკინიგზის
სამმართველოს ძიებს
ორთქლით მავალს შენს უმძლავრესს
„ვერვინ“ მოიძიებს.

ვაშა! ვაშა ორთქლმავალო,
ფოლადო და რკინავ,
შენი სრბოლის ემბლემაა
კუ და ლოკოკინა.

რა არ მოხდა ჩვენს მხარეში
რა არ შეიცვალა,
რა არის რომ არ დაეტყო
გარდაქმნელი ძალა.

შენ კახეთის ორთქლმავალო
ძველებურად „ჰზარავ“,
სამ საათის სავალ მანძილს
ცხრა საათში ჰფარავ.

ვაშა! ვაშა ორთქლმავალო,
ფოლადო და რკინავ,
შენი სრბოლის ემბლემაა
კუ და ლოკოკინა.

მარაგაძეების ოჯახში



ფუსფუსი იყო ამის მარაგაძის ოჯახში. სწმენდნენ კალათებს, „არემონტებდნენ“ ყუთებს, ხეხდნენ ტ.შ ტებს, ვარცლებს, გობებს, ქვაბებს, ასუფთავებდნენ სარდაფს, იქიდან ძველი ხარა-ხურა ამოჭმოდნენ.

— რა ჰქვნი, მაკრინე, იყიდე?

— ვიყიდე, — უპასუხა მუღღღამ ამას და ოფლი მოიწმინდა, — რვა კილო ვიყიდე, ოთხი ნატეხია, ოთხი ცფხენილი.

— წაიღე და ტომარაში ჩაჰყარე, მეც, როგორც იქნა, ვიშოვე ათიოდე კილო, ოღონდ მხოლოდ ნატეხია, რაფინადა.

მაკრინემ ნაყიდი შაქარი სარდაფში ჩაიტანა და ტომარა გაავსო. ზევით ოთახებში ადგილი აღარ იყო: შკაფები, განჯინები, ზანდუკები გავსებული იყო შაქრით, მაკარონით, ვერმიშელით, ბურღულით.

— სად ჩავყაროთ ეს მაკარონი? — მოისმა მაკრინეს დედის ხმა. მას ფუთამდე მაკარონი ვყიდა და მოხუცებული ქალი დაღლილიყო ფრიად.

— შეილო, მაკრინე! ამოა სად წავიღო ეს ქატო? წელი მომწყვიტა ამ შეჩვენებულმა. რამდენი წავიღო მეთქი და რამდენიც გინდა: მომდევს ხურგში სამი ფუთი ქატო და წამოვიღე. დაიტკეცს იმ ნოქრის ოჯახში...

— ნუ ბუზღუნობ ბერკაცო, ხომ ხედავ უკრაინაში მოზილიზაცია, ჩაიტანე ქვევით. მე ისევ მივდივარ, იქნება ნავთი კიდევ ვიშოვო... — უპასუხა ქმარს ალათიმ და ვედრო წაიღო ნავთის საყიდლად. ამასობაში მაკრინეც მობრუნდა, ექვსიოდე კილო შაქარი მოიტანა, დააბინავა და ისიც ახალი ვედროთი გაიტკეცა ნავთისთვის. რამდენიმე წუთის შემდეგ მას გვერდით ამოუდგა მამა—ზოსიმე, რომელსაც ძველი დიდი კოკა წამოვლო. ოჯახის ეს ოთხი წევრი სათითაოდ ჩავიდა ნავთის საწყობში. რამდენიმე ფუთი ნავთი წამოიღეს.

— კი მაგრამ, რაში ასხამ ამდენ ნავთს? — მიმართა სიმამრმა სიძეს.

— მოვანერხებო როგორმე... — თავის ფხანით უპასუხა ამოშ. მან დიდი სარეცხი ვარცლი დაითრია და ზენეში ჩაიტანა სარდაფში (ვარცლი მუხისა იყო). იქ ნავთის საგანგებო კუთხე ჰქონდა ამოშ? იქ ეწყო ნავთით სავსე კასრი, სამი დიდი ტაშტი, ორი ძველი ვარცლი და სამიოდე ტაშტი. ყველა ეს ჭურჭელი ნავთით იყო სავსე. ახლა ახალი ვარცლიც მიუმატეს.

— შეგბუღება უნდა ავიღო, — გადასწყვიტა საღამოს ამომ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ სამსახურის შემდეგ ვერ ვასწრებ ყველაფრის ყიდვას.

მართლაც აიღო შეგბუღება და დილიდანვე ქალაქში დაძრწოდა, ყიდულობდა ყველაფერს, რასაც კი წაახლებდა: ნავთს, შაქარს, მარისს, ასანთს და განუწყვეტილად ისმოდა მარაგაძეების ოჯახში პროდუქტების სახელები;

— ესეც სასაქმებელი ზეთი, სამი ლიტრია...

— ეს რაღად გინდა, ალათი?

— რა ვიცი, იქნებ მუცლის შეკრულობა დაემართოს ვინმეს...

— ეს რაღა წამალია?

— ეს კიდევ მუცელში შესაკრავია.

— ეს ბუზების საწოცი რაღად გინდოდა მაგდენი?

— რა ვიცი, იქნებ მომავალ გაზაფხულზე მუხამორი ვერ ვიშოვოთ, ხომ შეგვჭამს ბუზებმა? — იმართლებდა თავს ზოსიმე და მას კვერს უკრავდნენ ოჯახის წევრები.

ერთ დღეს მარაგაძეებს ესტუმრა რაიონში მომუშავე ილიკო ფარუხიშვილი. დიდი საღამო-ქალამისა და საუზნის შემდეგ სტუმარი აივანზე მოათავსეს, გასაღებები დაუტოვეს და თითონ კი მალაზიებისაკენ გაეშურნენ.

ილიკომ ერთი საათი იძინა, საჩქაროდ წამოხტა, რკინეულობის საწყობში შევიდა და რაიონის ელექტრო სადგურისთვის მანქანების ზოგიერთი მოწყობილობა იყიდა. იგი სამიოდე დღით აპირებდა ქალაქში დარჩენას. ამიტომ ეს ლითონის ნაწილები მანქანით წაიღო ამოს ბინაზე.

უფრო სათუთები ილიკომ ბინაში აიტანა და აივანზე დააწყო, შედარებით უფრო მაგრები და მიძიმები ბნელ სარდაფში ჩაიტანა და პირდაპირ შიგ შეჰყარა.

დამზარევენი რომ გაისტუმრა, ილიკომ დაკეტილი უკანა ოთახის კარი გააღო. კარის გაღებისას ბნელ ოთახში რაღაც საგანი წაიქცა, მაგრამ აღბაღ სკამიამ და ილიკოს აღარ მიუქცევია ყურადღება. გამობრუნდა, ლითონის ნაწილები აიღო და იმ ბნელ ოთახში შეიტანა. ერთი გრძელი ლითონი მას უცებ გაუფარდა ხელიდან და რაღაცას დაცვა გრიალით. ეს საეჭვოდ მოეჩვენა ილიკოს და ასანთს გაჰკრა.

სწორედ ამ დროს აივანზე ფეხისხმა მოისმა. ამოა და მაკრინე შემოვიდნენ.

— რაები დაგიწყვიათ, ბიჭო აქ? — მოესმა ამოს ილიკოს ხმა.

— არაფერი... — უპასუხა ელდანაკრავმა ამომ, — რა ეშმაკი გინდოდა მანდ?

და ოთახში შევარდა.

— უი, ჩემს თავს! — წამოიძახა მაკრინემ.

— რა იყო შეილო? — წამოიყვირეს აივანზე ამოსუღმა, დატივრთულმა ზოსიმემ და ალათიმ.

ამო სარკმლის დარაბებს მივარდა და გააღო გაალო და თავში იცა ხელი:

ნავთის კასრი გადაყირავებულიყო და სწრაფად იცლებოდა. ილიკოს ლითონებს ხეით და სხვა სითხით სავსე ჭურჭელი დაემსხვრიათ. ოთახში ნავთის, ზეთის, სკიპიდარისა და წამლების სუნი იდგა, სითხე შაქარსა და ფქვილებს გადასხმოდა და ახლა იატაკის ჭურჭულანებიდან სარდაფში იღვრობოდა...

— რა მიჭირდა ეს ნაწილებიც სარდაფში ჩამეტანა? — უხერხულად სუქვა ილიკომ.

— როგორ, სარდაფშია?

— ჰო, მამიდაჩემო, რაც მიძიმე ნაწილები იყო, იქ შეგყარეთ... აქ რაღა მრჯიდა, იმ ცარიელ სარდაფში ყველაფერი დაეტეოდა.

ელდანაკრავები სარდაფში ჩაცვივდნენ სანთლებით. იქ იყო ნამდვილი დომხალი: ზევით ხომ ღვარი მოდიოდა, ქვევით კი ილიკოს მიერ მოტანილ მძიმე ხელსაწყოებს, ღერძებს, ბორბლებს და ჰაბრაკებს დაეღწათ ნავთის ბიდონები და ვარცლები. ნავთის ტბორი იდგა სარდაფში და ყოველ ტომარას ყოველ ყუთსა და კიდობანს შესდგომოდა.

— ვაიმევე! — ბლოდნენ ამო და ზოსიმე.

— უი ჩვევენს! — წიოდა ალათი, ხოლო მაკრინეს გული წაუვიდა და იქვე ჩაიკეცა.

შეშინებული ილიკო ამოვარდა და ტელეფონის საძებნელად წავიდა, რომ სასწრაფო დახმარება გამოეძახა.

აღლაბარა-აღლაბარსან


თბილისის გეოფიზიკურ სამსახურის სამმართველოს შენობაში წვიმა ჩამოდის.



მ ბ ს ე რ ს ი ჯ ი უ ვ ა

- ამხანაგო უფროსო, თავი შეაფარეთ საღმე, ხომ ხედავთ წვიმა ჩამოდის...
- ზორებს ნუ ავრცელებთ, ჩვენი გამოკრევეით დღეს არ შეიძლება წვიმა მოვიდეს.

კორიტი მწვერის ახანაგები ძალიან პატარა მოცულობისაა-
კრიბები



- ნახვად დავლიხს ჩაწოლა ახანაგაში-არ შეიძლება.
- მაშ რა გქნა, თუ თქვენს ახანაგაში ნახვად კაცზე მეტი არ ტბევა?

სამკურნალო «მკურნალი»

სოფ. ლენტეხის საბჭოში პუნქტის ტენანი ნატაშა ქონიაშვილი სამსახურის სატყუპში უღარდლებს იმერს.

მ. გუბა



- ექიმო, რძალი შიკვდება, შიშველი რაზე...
შოკვლია, ვინცა ხარ, შენი რძალი კი არა, ჩემი რძალი ვერ ში-
გარინე.

სამკურნალო გულისწყობა

ბატონიანის სამკითხველი ყოველთვის დატბილია.

ფარკელი



ფოსტის დამტარებელი:- ამირბული კაცია ეს შორენა: წიგნების გა-
შტატანს თუ არავის ანებებს, გავრთები მაინც შეშობაწინანს, რომ თავები შე-
შალით არ დაიხიკონ.

ნახატები ღონისა.

კუს ვამეხები

ხაშურში ფეხბურთის სტადიონის მშენებლობა
შეუწყდარებულა კოანტრუცება. არცა



- აი, შეგო, ზურთი, ისწავლე თამაში და ხა-
ნამ შენ დაეჯაკვები, აღნათ ჩენი სტადიონის მშე-
ნებლობაც დაშვირდება.

გუნდობილი წინადადება

ნაქალაქების (ცხაკაის რაიონი) კლუბში წვიმა ჩამოდის.

ტ. აბაღლაძე



- ამხანაგებო! თუ გინდათ, რომ წარმოიდგინა ჩატარდეს, მსახიობებს რიგორიმ
ქოლგები აიხივეთ...

ხალიშუაგის ბაღში

ხალიშუაგის (ქიათურის რაიონი) ბაღი ყოველთვის თბებიან და ღორბიან
არის სადღე.

რუბე



შოვარცე ზომ გახსოვს ის ბნელი დამე,
მხოლოდ შენ იყავ იმ დროს მიწამე...

მოსალმონელი შემთხვევა

წოდების სადღურის არა ბჭის შედგამარების პუნქტი-
ი. ბარნიცი



- უსატრავად, ხაღვურის თურის ხაღ ვნახე?
- ხაღვურის თურის გეშოქონ რეში დაუგება და დღეს დღის იმავე
ურბით ხაშურში წაიფანეს ხაშურის დამარების აღმოსაჩნად.




- შერამდენე სენაია?
- პირველი სენის მეცამეტე განყოფილება და მეოცე ქვეანყოფილება.
- როგორ?
- ეს მეცამეტე განყოფილება მანქანა და მეოცე განყოფილება ლენტა.

მეშვენიერება

შორანის კლუბში მომხმევე ფოტოგრაფიები გოგია სისტემატორა
ჩრუბოს და დიხორე შურაცხოდის აყენებს კლუბტბს.


ნაკოტორე



- არიქე, თავს უშველით, გოგია ვილაცას «პოზას» უფიქრებს ხურბით
გაღასალებად

სამკურნალო რატიონალიზაცია

სამტრედიის აბანოს საბურთი გაღასაღილი ბჭის. ციციანაულია



- რატომ არ გადაუბრავენ აბანოს?
- უწინააღრამ, ვი თუ მერე ხაღნას მტუბი დაიწყო: აბანოში წაელი ირ
არიბო.



შეძილი გამოქმედი

სასამართლოს პროცესი მიმდინარეობს. ტრიბუნაზე დამცველი ლაპარაკობს.

დამცველი: ამხანაგო მოსამართლენო! შეიბრალებთ საწყალი ბრალდებული, მიეცით მას თავისუფლება, დაუბრუნეთ საკუთარ კერას, დაუბრუნეთ მის დამწუხრებულ ოჯახს, სადაც გულის ფანცქალით ელოდება მას ახალგაზრდა, მისი განშორებით გულდაკოდილი, მწუხარების აჩრდილად ქცეული მისი მეუღლე, საიდანაც უმწეოთ დარჩენილნი, პატარა, ჩვილი ბავშვები იშვერენ მისკენ პაწაწინა ხელებს. დაუბრუნეთ ოჯახს: საკუთარ კერას, სადაც შეუძლია საბრალო ბრალდებულს მოასვენოს დაქანცული სხეული მისი. დაუბრუნეთ მის სავარელ მეუღლეს...

თავმჯდომარე: მოგაგონებთ ამხანაგო დამცველო, რომ ბრალდებული უცოლოა.



დამცველი (უფრო რიხიანად): დიახ, ბრალდებული, როგორც საქმიდან ირკვევა, ჯერ კიდევ უცოლშვილოა, და იგი მით უმეტეს ღირსია შებრალებისა. მას არა აქვს საკუთარი კერა, მას არა აქვს ოჯახი, რომელიც დამწუხრებოდა მის უბედურებით, მას არ უცდის გულის ფანცქალით ახალგაზრდა, მისი განშორებით გულდაკოდილი, მწუხარების აჩრდილად ქცეული მისი მეუღლე. მას არა აქვს კერა, საიდანაც უმწეოდ დარჩენილნი პატარა ყვილი ბავშვები იშვერდნენ მისკენ პაწაწინა ხელებს და უმანკო დაღადებით შეთხოვდნენ მართლმსაჯულებას „დაგვიბრუნეთ ჩვენი მამიკო!“

დიახ, იგი უცოლოა, უმწეო, მარტოხელი და სწორედ ამიტომ ღირსია სიბრალულისა. გათხოვთ გაამართლოთ იგი.

ზინალი

რაიონის თეატრის რეჟისორი კოტე ზევსურიშვილი ცუდ ხასიათზე იყო.

- რამ დაგალონა?— შეეკითხა ცოლი.
— არაფერი... ისე... ჩვენი დასის წევრების საქციელს დავუფიქრდი.
— რა იყო ისეთი?
— მეტად დაწვრილმანების ნიშნებს ამეღავენებენ, მეგობრული ეთიკაც კი ავიწყდებათ.

ხშირად, ასე გასინჯეთ, როლები განაწილებაზე ჩხუბობენ.

- მერე ვერ მოარიგე?
— ვცდილობ, მაგრამ თავს ვერ ვართმევ. მეტისმეტს შვრებიან.

მეორე დღეს თეატრში კომედია ითამაშეს. უკანასკნელი მოქმედების ფინალში „მსახიობებს“ ჩხუბი მოუვიდათ. პიესის შემდეგ ვახუშტის უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩაიშალა და რეჟისორი შინ შედარებით ადრე მივიდა.

- რით დამთავრდა კომედია? შეეკითხა შინ დაბრუნებულ რეჟისორს ცოლი.
— ღრამით.

ბადაზარბეგული ზრდილობა

მატარებელი გაჩერდა. სადგურის ბაქანზე ვაგონის კიბიდან ჩამოდის ორი ხნიერი ქალი. წყალი წყურიათ. მიდიან ონკანთან.

- მიირთვით, ნატალია!
— არა, შენ მიირთვი ელპიტე!
— რავე გეკადრება, შენ მიირთვი ჩემო ნატალია!
— არა, შენ მიირთვი ჩემო ელპიტე!
— არ დავლევ, სანამ შენ არ მიირთმევ!
— არც მე დავლევ. სანამ შენ არ მიირთმევ!
— მიირთვი, ქმარ-შვილი ნუ მოგიკვდება!
— არა, არ დავლევ, შენ მიირთვი!
— არა, შენ მიირთვი!

ამ ლაპარაკში მატარებელს მეორე ზარს აძლევენ. ელპიტე და ნატალია წყლის დაღვევას ვეღარ ასწრებენ და მატარებლისაკენ მიეჩქარებიან. კიბესთან მისვლისას კვლავ გრძელდება ზრდილობის გამომხატველი დიალოგი:

- აბრძანდი, ნატალია!
— არა, ჯერ შენ აბრძანდი, ელპიტე!
— რავე გეკადრება, შენ აბრძანდი, ჩემო ნატალია!
— არა, შენ აბრძანდი, ჩემო ელპიტე.
— არ ავალ, სანამ შენ არ აბრძანდები.
— არც მე ავალ, სანამ შენ არ აბრძანდები.
— აბრძანდი, ქმარ-შვილი ნუ მოგიკვდება.
— არა, არ ავალ ჯერ, შენ აბრძანდი.

ისმის ელმავლის საყვირის ხმა. მატარებელი მიდის. ელპიტე და ნატალია კი ისევ ერთმანეთს ზრდილობით ეპატიუებოდნენ ვაგონში.

თეორია და პრაქტიკა

ამერიკულ სასაუზმოსთან დგას ხანში შესული მოქალაქე და ჭკუას არიგებს მასთან მყოფ

ორ ახალგაზრდას (უკანასკნელნი, ეტყობა, მისი მახლობელი სტუდენტები არიან).

— თუ გინდათ შევიღებო, ჯანი შეგრჩეთ, არც ერთი წვეთი მაგარი სასმელი არ უნდა დალიოთ... ეს რა არის? სასაუზმოა? ფეხზე მიირთმევენ? არა უშავს... დიად, თუ გინდათ ჯანზე იყოთ, სპირტიან სასმელს არ უნდა გაეკართ... (გამყიდველს): ჩამომისხით სამი ჭიქა არაყი! (დახლთან დგება და ერთხანად ხუხავს) მიირთვით ყმაწვილებო! ხო! იმას ვამბობდი, თუ გინდათ ჯანსალი ცხოვრება, მაგარ სასმელს უნდა მოერიდოთ! გამოცალე ყმაწვილო, ეგ რაღა ჩასატოვებელია, ფინჩხა ჭიქაა... მაგარი სასმელი აჩლუნგებს გონებას (გამყიდველს) დაასხით სამი ჭიქა კონიაკი! დალიეთ ყმაწვილებო! ხო, იმას ვამბობდი, სპირტიანი სასმელი აჩლუნგებს გონებას, მაგარ სასმელს ყოველთვის უნდა ერიდოს ვაქაკი კაცი! დალიეთ! წვეთი არ დატოვოთ! თქვენი გამარჯვების იყოს ყმაწვილებო!

სამკითხველოში

სამკითხველოში ორი მოქალაქე შეკამათდა:

— მე ვაფასებ ახალ მწერლებს, მათ კარგი მომავალი აქვთ, მაგრამ ჩემი წარმოდგენით კლასიკოსებს მაინც უფრო მაღალი ადგილი უკავიათ!—ამბობდა ერთი.



არ არის მართალი! მეც ვაფასებ კლასიკოსებს, მაგრამ ჩემი აზრით, თანამედროვე




მწერლებს უფრო მაღალი ადგილი უკავია. ისინი არა ნაკლებ ეხმაურებიან ჩვენი დროის საჭირობოტოტ საკითხებს.

— რომელს უკავია უფრო მაღალი ადგილი, ძველ კლასიკოსებს თუ ახალ მწერლებს?— შეეკითხნენ ისინი სამკითხველოს გამგეს.


— არც ერთს. ყველა მათგანს დაბალი ადგილები უკავიათ,—ყველანი ქვედა თაროებზე მიწყვია, რადგან მათ მკითხველები წამდაუწუმ ითხოვენ.




1. — თიო-თიო ვფსროლოთ, — უთხრა სამხანურიდან სახლში მიმავალმა სოკრატმა ბაგრატს.




2. დაუფერა ბაგრატმა სოკრატს. სწიპვრებიც გამოდგნენ და ჯილდოს ერთს კბილის ფხვნილი და მეორეს ლილა ერთი თავდაცვა-აფიაქიმის ტირიდან.




3. მაგრამ ყველაფერს იღბალი უნდა: სოკრატს იმ წარმოების ლილა ერთს, სადაც თითონ მუშაობდა დირექტორად, ბაგრატს კი მისდამი რწმუნებულ წარმოების კბილის ფხვნილი ხვდა წილად.



4. „დათვა უკეთესად იცის რის შემძლეა თავისი ბელიო“, ნატყვამია და მგლობრებმა ერთი-მეორის დაზარალება მოიწადინეს: მონაგარი ნივთები გადაცვალეს.



5. მეორე დღეს სოკრატი ლურჯი თეთრეულის პატრონი შეიქნა...



6. ხოლო ბაგრატი ცოლმა „დაახურჭრა“ კბილის საუკეთესო ფხვნილის შექმნისათვის.



— რა მოგივიდა ბუნუტი! ჩვენც შენსავით შვიდ-
შვიდი ლიტრა დავლიეთ, მაგრამ ფენზე მაინც ვღვებთ.
რაც არ უნდა მოხდეს აქ მაინც არ დაგტოვებთ.
(იხ. მე-13 გვ.)

შეთხუჯუნბი

მეზობლების გაუფრთხილებლობით

მეზობლების გაუფრთხილებლობის გამო გუშინ კინლამ დაიწვა მოქ
კალისტინე გ—ძე. დაწვრილებითი ცნობები ასეთია: სამზარეულოში ყოფ-
ნისას კალისტინეს გაუსკდა პრიმუსი. ცეცხლი ხელად მოედო კალისტინეს
კაბას. დაზარალებულმა იკივლა. კივილის ზმაზე მიცვივდნენ მეზობლები,
ხელი დაავლეს წყალით სავსე ვედროებს და კალისტინეს შეასხეს ტანზე.
ჩაქრობის მაგიერ ცეცხლი უფრო მოედო დაზარალებულს.

როგორც შემდგომი კვლევით გამოირკვა, ხანძრის გაღვივება (პრი-
მუსის შემდეგ) გამოიწვია მეზობლების გაუფრთხილებლობამ: მათ რომ ვედ-
როებს წამოავლეს ხელი, მათში ნავთი ჰქონდა კალისტინეს...

ამ შემთხვევის შედეგად დაღვრილი აღმოჩნდა კალისტინეს მიერ მომა-
რაგებული ექვსი ვედრო, სამი კოკა და ორი გრაფინი ნავთი.

დაზარალებული აპირებს ნათესაების მობილიზებას საპროდუქტო მა-
დაზიებთან „ჩაჩრდის“ მისაწყობად.

ხერხეალის გატეხვა

მილიციაში მიიტანეს მოქ. იაკობ ფქვილაძე. როგორც ექსპერტებმა და-
ამტკიცეს, მას ხერხეალი აქვს გატეხილი ხიდან გადმოვარდნის მიზეზით.
ფქვილაძის განცხადებით კი, მას ხერხეალი გაუტეხა ფქვილით სავსე ხუთ-
ფუთიანმა ტომარამ, რომელიც სახლში მიჰქონდა იაკობს.

იაკობი დაკავებულია. ფქვილი მიიმალა.

აღუღებული სამოვარი

მოქ. ათანასე კბილანაძეს წუხელის მოპარეს სავსე სამოვარი, რომელიც
აივანზე ედგა. ათანასემ განაცხადა, რომ იგი ასადუღებლად ჰქონდა დად-
გმული. ქურდის ჩვენებით და აღმოჩენილი სამოვრის გამოკვლევით და-
დასტურდა, რომ ათანასეს სამოვარში მარტილი ჰქონდა მომარაგებული.

— შეიძლება შემოვიდე?
— მობრძანდით.
— უკაცრავად, ეს რა დაწესებულებაა?
— ეს რედაქცია გახლავთ.
— რეირექცია... მერე რას აკეთებენ აქ?
— რედაქციაში წერილებს, მოთხრობებს, ლექსებს იღებენ და
ბეჭდავენ. თუ დაიბეჭდება, ჰონორარსაც იძლევიან ხოლმე.

— ჰოო, ძალიან კარგი!
მომსვლელი მიდის.

მეორე დღეს:

— გამარჯვება თქვენი. აგერ ექვსი ლექსი მოვიტანე. წუხელის
ალარ მიძინია ამის გამო, სულ ვწერდი და ვწერდი, ნახეთ, რა კარ-
გი ლექსებია! ამისთანა ლექსები კლასიკოსებს რომ გამოეგონებიათ,
კიდევ უკეთესი კლასიკოსები იქნებოდნენ! აი, უყურეთ! (კითხულობს
ლექსს).

— მოიცათ, მოიცათ. გთხოვთ შეჩერდეთ. ეგ ლექსები არ დაი-
ბეჭდება.

— ბიჭოს, რატომ? თქვენ ციტრუსების წინააღმდეგი ხართ? ჩანს
და ვენახის წინააღმდეგ ილაშქრებთ?

— რასაკვირველია არა, მაგრამ არა მასეთი ლექსებით. ეგ იაფ-
ფასიანი პროვოკაცია აქ არ გამოდგება.

— არა კაცო, მე საწყენად კი არ მითქვამს.
პაუზა.

— ერთი მითხარით, სადმე აქ კაი სამსახური ხომ არ გეგუ-
ლებათ?

— ჩვენ შტატი შევსებული გვაქვს, იკითხეთ სხვაგან, ჩვენში მუ-
შახელს პირიქით, ეძებენ.

ისევ პაუზა.

— ერთი ეს მითხარით: ბინა ხომ არ იცით სადმე ცარიელი? ქა-
ლაქში მინდა დარჩენა და ბინას ვეძებ, თუნდაც ორი ოთახი იყოს
დერეფნით და სამზარეულოთი, ვანას არ დავეძებ.

— არა, ჩვენ მაგ საქმესთან ახლოს არ ვდგავართ. მიმართეთ სა-
ბინაო სამმართველოს.

კვლავ პაუზა.

— იქნებ თქვენ ოჯახში გაქვთ თავისუფალი კუთხე? ნუ მოგერი-
დებთ, ჩვენ ბევრი არა ვართ, სულ ხუთი სული ვართ, შეიძლება
ზამთრობით ჩემი სიდერ-სიმამრიც ამოვიდნენ, ა?

— არა, ვერც მაგაში გამოგადგებით.

— აბა კაი, მშვიდობით იყავით. მე ქე შემოვივლი კიდევ, ლექ-
სებით არ მოგაწყენთ. ლექსს ჩვენს ოჯახში ყველა წერს, იმედია, და-
გვიბეჭდავთ... ჰონორარს თუ ავანსად მოგვცემთ...

— არა, ეგ არ შეგვიძლიან...

— რატომ არ შეგიძლიანთ, რამდენი პოეტია, რომ ჰონორარს
იღებენ?

— ვინც იღებს, სწერს კიდევ.

— არ ვიცი, მე აქამდე სხვანაირად მქონდა გაგონილი, დავიჯე-
რო, ასე გამოიცვალნენ ჩვენი პოეტები, რომ ავანსს ანაღლებენ? ალ-
ბად მეხუმრებით.

— ჭეშმარიტ სიმართლეს მოგახსენებთ.

— მაშ ნახვამდის, მაგასაც ვავიგებ და სხვა ლექსებსაც გამოვი-
გონებ. შეიძლება მოთხრობაც მოგიტანო ან რომანი, პიესასაც დავ-
წერ, კიდევ გინახულებთ!

პოეტი გადის. რედაქტორი თმებში ხელს იტაცებს.

ალ. მალულარია.



ვარშავის ერთერთ უბანში ნიჭიერი მხატვარი ქალი ცხოვრობდა. პოლინას ეძახოდნენ. პოლინას ნიჭს იცნობდნენ მეგობრები, მაგრამ ახალგაზრდა პოლინა ვერსად პოულობდა ნივთიერ დახმარებას, რომ მთელი თავისი ყურადღება მისი ნიჭის გაფურჩქვნისათვის მიექცია.

ბოლო ხანებში პოლინა სახლის მეპატრონემ ქუჩაში გამოავლო ქირის გადაუხდელობის გამო. პოლინამ, როგორც იქნა, თავი ვარშავის გარეუბანს შეაფარა. იქ იშოვა პაწაწინა ოთახი, სადაც ერთი საწოლი და სკამი ძლივს ეტეოდა.

პოლინას მაინც ბედმა გაუღიმა: ერთი კაცი დაუახლოვდა. მალე კიდევ შეუღლდნენ და პოლინას პაწაწინა ოთახს კიდევ ახალი მდგმური მოემატა.

მიუხედავად ბინის სიპატარავისა, მაინც შედარებით. მყუდროდ მიდიოდნენ ახალი ოჯახის წევრთა დღეები. ზაფხული იყო. პოლინას სახატავი ტილო და ხელსაწყო ოთახში უადგილობის გამო ეზოში გაეტანა და თავისუფალ დროს იქ მუშაობდა.

— საუცხოო აზრი მომივიდა. დადექ მაგ ადგილას. — უთხრა ერთხელ პოლინამ მეუღლეს.

— რას აპირებ?
— უნდა დავხატო შენი პორტრეტი, მეგობარო! მეუღლეს, რომელიც პოლინას ნიჭს დიდად აფასებდა, გულში სიამაყის ნიავმა გაუქროლა.

პოლინამ ქმრის პორტრეტის ხატვას შეუდგა, „ნეტავ მე ვიყო მხატვარი, რა სიამოვნებით დავხატავდი ჩემს მშვენივრად აღსავსე მეუღლეს“ — გაიფიქრა გულში რიძმმა.

— ვაი, რომ ხატვა არ ვიცი, თორემ მეც დავხატავდი მეგობარო! გაუმელავენა რიძმმა პოლინას.

— სხვამ მოგასწორო. ჩემს პორტრეტს ჩემი ამხანაგი ფელქისი ხატავს. მალე დაამთავრებს... — უპასუხა გულწრფელმა პოლინამ.

„ფელიქსი!. ხშირად დადის ფელიქსთან...“ ცივი შანთივით გაუარა გულში რიძს ამ ფიქრმა და მისი არსება ექვემდებარებოდა ბურუსმა მოიცვა. პოლინამ პირველსავე დღეს სახის კონტური დაამთავრა და ოჯახში ფუსფუსს შეუდგა. მეზობლის თხა ეზოში გამოსულიყო, მასზე აღამიანის პორტრეტის დანახვამ რაღაც უჩვეულო ვაგუნა მოახდინა, ის თითქოს ცოცხალ აღამიანად მიიჩნია, თითქოს რიძმის სახე თხის მოსისხლე მტერი ყოფილიყო, რქოსანი ბეკეკა აიქოჩრა ყალყზე შესდგა და რქებით სურათს დაეძვრა.

თხის პირველმა იერიშმა პორტრეტზე შესამჩნევი დალი დასტოვა. მეორე დღეს იერიში თხამ ისევ გაიმეორა. იერიშის შედეგმა გაანცვიფრა მნახველები: რიძმის მუბლზე ამკარად რჩებოდა თხის რქების ანაბეჭდი. ეს ანაბეჭდი პირდაპირ შეეზარდა ნახატს. მესამე დღეს თხამ პორტრეტზე კიდევ უფრო გააფთრებული. იერიში მიიტანა.

ნახატი რქიან პორტრეტად გადაიქცა. უკანასკნელმა იერიშმა მოთმინებიდან გამოიყვანა პოლინას დაექვიანებული მეუღლე, იგი სადღაც გადაიკარგა და აღარ გამოჩენილა. ასე დაიღუპა ვარშავის გარეუბანში უბინაობის გამო ცისქვეშ მომუშავეს, ნიჭიერი მხატვარი ქალის და მისი მეგობრის რომანი.

მ-ყა



— ბიჭოს! ეს რა ამბავია! ბუხუტი სადღა არის?

(იხ. გვ. 12)

ცხად-ცხადი ამბავი

წუსტი რევიზორი

გულშინ ახალსოფლის (ყვარლის რაიონი) მახარაძის კოლმეურნეობის გამგეობის სარევიზიო კომისიის თავ-რემ გ. თავბერიძემ რევიზია გაუკეთა თავის თავს და გამოარკვია, რომ სწორედ იმ დღეს შესრულდა ერთი წელი ექვსი თვე და ექვსი დღე, რაც მას რევიზია არ გაუკეთებია კოლმეურნეობის გამგეობისათვის.

„რევიზორი“ კმაყოფილი დარჩა ასეთი ზუსტი გამოვლენებით.
ინდიკო.

უბედური შემთხვევა

ს ანაკლიის (ზუგდიდის რაიონი) სასადილოში შემთხვევით შესული სასადილოს გამგის ამბაკო ბიგავას ღორი ნაგავში ჩაეფლო, სული შეეზუთა და გული წაუვიდა.

წ. ა — ბაია

გოძრავი ხილები

სოხუმის ქალაქის საბჭოს კომუნალურმა განყოფილებამ გადასწყვიტა შეუკვეთოს მოძრავი ხილები, წვიმის დროს ბერიას სახელობის ქუჩაზე მცხოვრებელთა გადასაყვან-გადმოსაყვანად.

მარკოზა ქარჩენისპირელი

ძირულები რეკორდსმენი

სვირულით შეიწყლილებული და სიმღვრით არაქათგამოღებული სად. ძირულის (ხესტაფონის რაიონი) სასადილოს გამგე ებანოძემ ჯერ ყველა მოსადილეები იფრინა სასადილოდან, არ მომწონს თქვენი სიფათიო, შემდეგ ორი კვარტი კვლავ ჩამოსახა, მრავალჯამიერი შენოსახა და კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა ხულიგნობაში.

ფარშევანგი.



გულუხვი გუგუარი

სამხატვრო სახელოსნოში, სადაც სხვადასხვა დაწესებულებების დაკვეთით აბრებს აწერენ და ხატავენ, ახალგაზრდა კაცმა შემოალაჯა.

— მე მინდა აბრა, არტელ „ჩვენი შრომისათვის“. — განაცხადა მან.

მიიღეს დაკვეთა და დაპირდნენ, რომ ერთ კვირაში მზად იქნებოდა.

ერთი კვირის შემდეგ იგივე ახალგაზრდა შევიდა იმავე სამხატვრო სახელოსნოში.

— იცით რა, მე მინდა აბრა არტელისათვის, რომელსაც სახელად „შრომის შედეგი“ ეწოდება.

ამის შეკვეთაც მიიღეს და დაპირდნენ, რომ ხუთი დღის მერმე შეიძლებოდა წაღება.

ოთხი დღის მერმე კიდევ მიადგა ის ახალგაზრდა იმავე სახელოსნოს კვლავ წინდაწინ გადინა და ფული და ახლა არტელ „შრომის უნარის“ აბრა დაუკვეთა.

— სამდღეში იქნება მზად. — უთხრეს ახელოსნოში.

— ახალი აბრა მინდა, — განაცხადა ორი დღის შემდეგ იმავე ახალგაზრდამ.

— რომელი არტელისაა? — ჰკითხეს მხატვრებმა.

— „შრომის ძალა“ ჰქვიან. — განაცხადა ახალგაზრდამ და საღაროში ფული შეიტანა.

— უკაცრავად, მაგრამ ის აბრები რატომ არ მიაქვთ არტელებს — ჰკითხეს ახალგაზრდას.

— რომელ არტელებს?! — გაკვირვებით იკითხა მან.

— აი, თქვენ რომ დაგვიკვეთეთ: „ჩვენი შრომა“, „შრომის უნარი“, „შრომის ძალა“ რომ არის.

ახალგაზრდას უღვაშებში გაეცინა და სთქვა:

— ეს ყველა აბრა ერთ არტილს ეკუთვნის მაგრამ სახელს უცვლიან ყოველხუთ ან სამ დღეში ერთხელ და მეც... რა გაეწყობა.. შეკვეთებს ძლივს ვასწრებ.

ხოკე.

თაფლი და თითი

- კარი გაგვიღეთ.
- არ შეიძლება.
- რატომ არ შეიძლება?
- იმიტომ, რომ კარი რომ გაგიღოთ მა-
ლაზიაში შემოხვალთ.
- რატომ არ უნდა შემოვიდეთ?
- იმიტომ, რომ დღეს საქონელი გვაქვს
მიღებული.
- ჰოდა ჩვენც მაგიტომ გვინდა შემოსვლა.
- ჩვენც მაგიტომ არ გიშვებთ.
- რატომ, მაშ საქონელი არ უნდა გას-
ცეთ?
- უნდა გავსცეთ.
- ვისზე?
- აი, იმათზე, შიგნით რომ არიან.
- დედაჩემო, რა ესმის ამ ყურებს. შიგ-
ნით ხომ თვითონ ამავე მალაზიის გამგეა, შემ-
დეგ ბულალტერი, მერე ფინგანი, შემდეგ სა-
რევიზიო კომისის თავმჯდომარე, შემდეგ აქაუ-
რი ექიმი (გვარებს უსახელებენ)...
- მერე, რა, ისინი მოქალაქეები არ არი-
ან თუ?
- არიან, მაგრამ საიდან მოხვდნენ მალა-
ზიაში, როცა ჩვენ ალიონს აქეთ აქა ვართ?

- მაშ ისე გამოდის, რომ გამგეს, ბულალ-
ტერს, სარევიზიო კომისიის წევრს და მისია-
ნებს მალაზიაში შესვლას უშლით?
- შესვლას კი არა, უკანონობას ვუშლით.
- რავე, მალაზიიდან საქონლის გაცემა
უკანონობაა?
- უკანონოდ გაცემა უკანონობაა, მაშ რა
ჯანდაბაა?
- მოიცა, მოიცა ბიძია, უნ რაცხა ისე
ლაპარაკობ, ინტრიგანი უნდა იყო—გეტყობა,
რა გინდა, მოკლეთ თქვი.
- საქონელი.
- წიგნაკი გაქვს კოოპერატივის წევრო-
ბისა?
- არა.
- აბა, ვერაფერს მიიღებ. უწიგნაკო კო-
ფილხარ და კიდევ ლაპარაკობ?
- რაღა დროს წიგნაკია, წიგნაკები დი-
დიხანია რაც გაუქმდა, ჩვენში ხომ თავისუ-
ფალი ვაჭრობაა?
- ვაჭრობა თავისუფალია, მარა წერა-
კითხვისათვის ის ჯობია, რომ წიგნაკი ბევრი
იყოს.
- ვიდრე გამწარებული მომხმარებელი ამ
კამათშია, მალაზიაში საქონელიც თავდება. ამის

შემდეგ შრისხანე მოკამათე უცბად მოლბება
და თავაზიანად მიმართავს.

— შეეკაცო, თავს ვიქცევდი, თვარა მა-
ლაზიაში რავე არ შეგიშვებ, მობრძანდი.

მომხმარებელთა მთელი ჯგუფი შედის. ნო-
ქარი ეკითხება მათ:

— რა გნებავთ?

— საჩივრის წიგნაკი.

ამის შემდეგ იწყება კამათი, სწორია თუ
არა ხალხური ანდაზა იმის შესახებ, რომ ვი-
საც თაფლში თითი აქვს პირველად იმან უნ-
და გაილოკოს?
კამათი გრძელდება.

* * *

სად მოხდა ეს ამბავი?
ჩვენ განგებ არ დავასახელებთ. ექვი არ
არის ბევრ ნოქარს მალაზიის გამგეს შეუძლიან
იგულისხმოს, რომ აქ მოთხრობილი მას ეხება.

სხვათაშორის შეუძლიანთ ასე იგულისხმონ
ძირულის უნივერსიტეტის მუშაკებმაც.

ომახიძე

მოულოდნელი სანახაობა

წითელ-წყაროს რაიონის ფიზკულტურის
კომიტეტის თავმჯდომარე ნებურიშვილი შემ-
თხვევით წააწყდა მოულოდნელ სანახაობას:
მან ნახა წითელ-წყაროს და ზემო-მაჩხაანის
სკოლის გუნდები, რომელნიც ფრენბურთში
ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

რადგან ნებურიშვილს ასეთი რამ ჯერ არ-
სად უნახავს, ძლიერ შეეშინდა ამ მშვენიერი
სპორტისა. ვაი თუ სახათაბალო რამეა და
ცუდი არაფერი გამოვიდესო. შთაბეჭდილება
იმდენად ძლიერი იყო, რომ გულშეწუხებული
თავმჯდომარე საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგ-
რამ იქ გულმა ვერ გაუძლო და სასადილოში
გაიპარა.


იზვიათი შემთხვევა წყალსადენში

სოფელ ზემო-მაჩხაანის წყალსადენში წელს
ორჯერ ამოხეტა წყალმა. ამ უჩვეულო მოვ-
ლენამ მცხოვრებლებში დიდი გაკვირება გა-
მოიწვია. ხმებია, ადგილობრივი საბჭო ზო-
მებს ლებულობს ასეთი შემთხვევების თავი-
დან ასაცილებლად, რადგან თუ წყალსადენში
წყალმა ხშირად იდინა, მილები დასველდება
და მოსალოდნელია მათი დაუზანგაო.

თიბრი

ნახ. შ. თალაკვაძისა.

„სოიუზბენატის“ კიოსკები ხშირად გადააქვთ ადგილიდან
ადგილზე.



საუოსსო შიქრები

წერილი: — მეც რომ ასე ჩქარჩქარა წამილ-წამომიღებდნენ ფოსტას არც
ერთი მომდურავი არ ეყოლებოდა.

კინო გვაქვს, მაგრამ რა კინო...

(ოჩამჩირე)

კინო — თეატრი, ნიანგო, მხოლოდ ერთი გვაქვს წლებულა: სკამები დამტვრეული აქვს და ჭერიც ჩამონგრეულა.

ყოველ სენასზე სურათი ოცდაათორმეტჯერ გაწყდება, ზუთჯერ სინათლე ჩაქრება, ათჯერ ტექნიკი გაწყდება.

მოვალთ და ვაი იმ მოსვლას, არ მოვალთ უარესია, არ იქნა, აღარ გვადირსეს კინო — როგორც წესია.

იმერელი

მაგომ ნითაქაბიანი

(დუშეთი, სამანქანო — სატრაქტო-რო სადგური)

საქვაჭრობამ წერტი გახსნა, არა მოკლე ვადიანი. გამგედ დასვეს ჩოხანოვა, — მარგო — წითელკაბიანი. ლუკმის ჩათლის მოყვარული, მეტად დიდი მადიანი, მთელ დუშეთში ცნობილია მარგო — წითელკაბიანი. თუმც აქტები შეუდგინეს, სულ არ არის დარდიანი, — „გამგეობა მწყალობს მეო“, ამზობს წითელკაბიანი.

ტრაქტორისტი

ჩაის უაბრიკის სასადილოში

(ნახაკირალი, მახარაძის რაიონი)

მომგება ღორების მთელი დასტა მსუნაგი: სასადილოს კიბის ქვეშ გაემართათ ბუნაგი,

მოწიწებით შევალე სასადილოს კარები, გადავავლე მაგიდებს ნიანგურად თვალები:

გაურეცხავი გაზღდათ თეფში, დანა, ჩანგალი, კერძში უღვაშს იგრუნდა ხრჭო, ავი, ანგალი...

ძვირი ღირდა, გავოცდი, უხარისხო სადილი, თუმცა „ბორში“ ქვიოდა, წყალი იყო ნამდვილი...

პურს ვუტყერდი მოტანილს; მათ ნაცვლად მე მრცხვენოდა, თურმე ასეთი პური აქ ყოველდღე ცხვებოდა...

ბ. ბ — ძგ

ნახ. ღონისა.
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ალფრედის თოქია და პრაქვიკა

მამბ: — შვილოჯან, ღვინო და არაყი არასოდეს დალიო, ტვინსა და კუჭს აფუჭებს.



ზრამ კიკელას: (ქუთაისი) შემოდგომის დადგომის ემდურებით და გვწერთ: „ზამთრის ყიფნა მოახლოვდა, აღარ ვიცი სით წავიდე — აფრიკაში გავფრინდე, თუ თბილისისკენ ვაღმოვფრინდე“.

ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები... **ჭაბის** (ქუთაისი) თქვენი ლექსის „იონას სიზმარის“ ერთი ტაეპი გვატყობინებს, რომ არტელ „აგურ-კრამიტის“ თავმჯდომარეს იონა ხაფავას კოლმეურნე ხათრიძისათვის ფული გადაუხდევინებია და შემდეგ აღარც კრამიტი მიუცია, არც ფული დაუბრუნებია.

კოლმეურნე ხათრიძეს, მართალია, გვარი ხელს უწყობს, მაგრამ არც ამდენი ხათრი ვარგა: ჩვენს მაგიერ გადაეცით, რომ პროკურატურას მიმართოს.

თავკომგაალას (აბაშა) იწერებით: „ჩვენს რაიონის ბაზარში ხაბურზაკი ვნახე. ვიყიდე და ის ოხერი გამომადგა კვახე“.

ჩვენთვის, რასაკვირველია, საკვირველია, რომ შემოდგომის სუსხიან დღეებში მკვახე

„ხაბურზაკის“ შესახებ იწერებით, მაგრამ თქვენ, თქვენი თავის პატრონი, მკვახე „ხაბურზაკმა“ როგორ გაგაკვირვათ? **ნახშირბას** (თელავი) „თავი პუეტათ გავმოვაცხადეო“, გვატყობინებთ და თქვენი „ნაპუეტარის“ ნიმუშსაც გვიგზავნით:

„ოთხი ლექსი ამოვიღე, პუემებიც ძაან ბევრი, ამის გამო მამაჩემმა დამაყენა მე დღე ცხელი“-ო.

საკვირველია: აგრეთი ჭკვიანი მამა გყოლიათ და ასეთი შვილი როგორ გამოუხვედით! **წიფლაშაქალს:** (სოფ. ზედა წიფლაშაქალს. ზესტაფონის რაიონი) გვატყობინებთ:

„ფოსტის დამტარებელმა ისიღორე წინწკალიწვილით ვაღდეგულემა აიღო, რომ იგი ხელის მომწერლებს თვის ბოლოს აუცილებლად ერთად მოუტანს გაზეთებს ათი ცალის დაკლებითო“.

ჩვენ ამის შესახებ მივწერეთ წინწკალიწვილის და გვატყობინებს: „აშკარა ცილისწამებაა, ვაღდეგულემა მართალია ავიღე, მაგრამ ათ გაზეთს კი არა,

თვეში რვა ცალის მეტს არ დავაკლებ ხელის მომწერლებსო“.

მამისმს (თბილისი) ვათაყებთ თქვენი ლექსის ნაწყვეტს.

„არცა ცხელა, არცა ცივა, ზაფხულია, რა ზაფხული, წინათ იყო ზამთარი და შემდეგ იყო ზაფხულდა პოეტებიც ვერ მასწავლის ლექსის წერა რაფერ უნდა“.

„ლექსზე“ გეტყობათ, რომ მართლა მექი-სე ხართ და მართლა წყალთან გაქვთ საქმე. **მ. ს. ს:** (ცხაკაია) გვწერთ: „ამას წინათ ცხაკაიას რაიონის სოფ. ეკის ეპოს თანამშრომლების გახინჯვა მოხდა. ექიმებმა ეპოს თანამშრომლების და ამათი ნათესავების ტანზე აღმოაჩინეს ნათესაობით გავრცელებული იშვიათი „ავადმყოფობა“, რომელსაც სახელად ჩასაცმელი „საზაფხულო ბადე“ ეწოდება. ექიმებმა ჯერ ვერავითარი წამალი ვერ აღმოაჩინეს ამ სენის განსაკურნავად“.

შე კარ კაცო, ექიმებთან რა გინდათ, მაგ სენის წამალი ყველაზე უკეთესად რაიონის პროკურორმა იცის.



— ოკუპანტი ფილიშაძია გიცნობ, პავაჩიშვილი, აქამდე უფრო ცეკვა არ მინახავს და ახლა როგორ მოგვივიდა!..
 — ძეგლი იყო, შვილი, პანევის დუღუჯაზე ცეკვა, ახლა კი, საკუთარ მუსიკაზე ვინ არ იცეკვებს!..